

FUNCTIONAL CHARACTERISTICS OF THE -A EMPATIC VOWEL IN THE SPREECH OF THE FRON VALLEY

-ა მავრცობი ხმოვნის ფუნქციური მახასიათებლები ფრონის ხეობის
მეტყველებაში

Mariam Koberidze

Doctor of Philology,

Professor of Gori State University,

Gori, Chavchavadze st., #53, 1400, Georgia,

+ 995577251275, maikoberidze@gmail.com

<https://orcid.org/0000-0002-6604-1628>

Abstract. This article analyzes the phonetic, grammatical, demarcation, and stylistic functions of the -a Empatic Vowel. Before the suffix, the -a suffix serves as a consonant strengthener and at the same time separates the morpheme, while after the suffix, it serves as a demarcation.

The grammatical functions of the -a suffix are identical to those of the literary language and other languages. It contributes to the abundance of allomorphs of the inflectional sign. The -a suffix has a demarcating function if the substantive determiner is postpositional. The -a suffix appears as a closure of the construction.

Two distributives are used with a demarcation function in illustrative examples: bread, food. The -a distributive construction is suppressed in sentences. The syntactic pair of the subject and the indirect object, the subject and the simple object of the object are separated from each other. If the substantive determiner is postpositional, -a appears as a closure of the expansion construction in the sentence, it is separated from the other members, and the content is clear.

Two distributives are used with a demarcation function in illustrative examples: p'urisasa, (bread) , sach'mlisasa (food)...

The -a distributive construction is suppressed in sentences. The syntactic pair of the subject and the indirect object, the subject and the simple object of the object are separated from each other.

In the particle forms of the word "others", -a has a dieremic function, separating morphemes from each other (gzasao, vajsao...). In folk poetry, the -a suffix contributes to the rhythm of the phrase. Illustrative examples confirm the use of the "excessive" -a suffix (sitikaskaena, kirstyakene...)

Words with the -a vowel are accented, intonationally separated. A pause appears after such words. Often the verb is placed in the second intonation unit surrounded by various members. Such sentences are characterized by a calm, unhurried narration.

Changes in the functional characteristics of the -a vowel in the speech of the Fron Valley are a common phenomenon characteristic of the Kartli dialect.

Keywords: - A Empatic Vowels, Fron Valley speech, function, characteristics, realization, demarcation.

მარიამ კობერიძე

ფილოლოგიის დოქტორი,

გორის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი,

ქ. გორი, ი. ჭავჭავაძის ქ. #53, 1400, საქართველო,

+ 995577251275, maikoberidze@gmail.com

<https://orcid.org/0000-0002-6604-1628>

აბსტრაქტი. წინამდებარე სტატიაში გაანალიზებულია -ა მავრცობი ხმოვნის ფონეტიკური, გრამატიკული, სადემარკაციო და სტილისტური ფუნქციის გამოვლენის შემთხვევები.

თანდებულის წინ -ა მავრცობი თანხმოვანთაგამყარის ფუნქციას ასრულებს, ამავე დროს გამოყოფს მორფემას, ხოლო თანდებულის შემდეგ კი სადემარკაციო ფუნქციას ასრულებს.

გრამატიკული ფუნქციით -ა მავრცობის რეალიზაციის შემთხვევები სალიტერატურო ენისა და სხვა კილოების იდენტურია. ის ხელს უწყობს ბრუნვის ნიშნის ალომორფთა სიმრავლეს. -ა მავრცობს სადემარკაციო დანიშნულება აქვს, თუ სუბსტანტიური მსაზღვრელი პოსტპოზიციურია. -ა მავრცობი კონსტრუქციის ჩამკვეტად გვევლინება წინადადებაში, სხვა წევრებისაგან იმიჯნება და შინაარსი გასაგებია.

სადემარკაციო ფუნქციით არის გამოყენებული ორი მავრცობი საილუსტრაციო მაგალითებში: პურისასა, საჭმლისასა...

-ა მავრცობი კონსტრუქციას ხშავს შესიტყვებებში. შემასმენლისა და ირიბი დამატების, შემასმენლის და საჭურვლის უბრალო დამატების სინტაქსური წყვილი გამოიყოფა ერთმანეთისაგან.

სხვათა სიტყვის ო ნაწილაკიან ფორმებში -ა-ს დიერემის ფუნქცია აქვს, მორფემებს ყოფს ერთმანეთისაგან (გზასაო, ვაჟსაო...). -ა მავრცობი ხალხურ პოეზიაში ხელს უწყობს ფრაზის რიტმულობას. საილუსტრაციო მაგალითებში დასტურდება „ჭარბი“ -ა მავრცობი ხმოვნის გამოყენების შემთხვევები (სეტყვისაგანა, ქვეყნისაკენა...)

-ა ხმოვანდართული სიტყვები აქცენტირებულია, ინტონაციურად გამოყოფილია. ასეთი სიტყვების შემდეგ ჩნდება პაუზა. ხშირად ზმნა სხვადასხვა წევრების გარემოცვაში მეორე ინტონაციურ ერთეულშია მოქცეული. ამგვარ წინადადებებს ახასიათებს დინჯი აუქჩარბელი თხრობა.

ფრონის ხეობის მეტყველებაში -ა მავრცობი ხმოვნის ფუნქციური მახასიათებლები ქართლური დიალექტისათვის დამახასიათებელი საერთო მოვლენაა.

საკვანძო სიტყვები: -ა მავრცობი, ფრონის ხეობის მეტყველება, ფუნქცია, მახასიათებლები, რეალიზაცია, დემარკაცია.

შესავალი. -ა მავრცობი ხმოვნის ზოგადი ბუნებისა და ფუნქციონირების შესახებ არაერთი საინტერესო, მნიშვნელოვანი და ანგარიშგასაწევი გამოკვლევა არსებობს. საენათმეცნიერო ლიტერატურაში აღნიშნულია -ა მავრცობი ხმოვნის ფონეტიკური, გრამატიკული (მორფოლოგიური, სინტაქსური), სტილისტიკური და სადემარკაციო ფუნქცია, ყურადღება გამახვილებულია ფუნქციათა ისტორიულ ცვლაზე (ძველ ქართულამდე, ძველ ქართულში, თანამედროვე ქართულში).

თანამედროვე ქართულში -ა მავრცობი ხმოვნის მხოლოდ ფუნქცია კი არა, გამოყენების არცე შეიცვალა. ის საგრძნობლად გაფართოვდა: გაჩნდა ვითარებით ბრუნვაშიც, გამოიყენება თანდებულის შემდეგ. გარდა ამისა, მას ფუნქციურად გაუთანაბრდა ფუძისეული -ა ნაწილაკებსა და ზმნისართებში.

-ა-თი გავრცობილი სუბსტანტიური მსაზღვრელის განაწილებაში მომხდარმა გარკვეულმა ცვლილებამ გამოიწვია -ა მავრცობის ფუნქციური რეინტერპრეტაცია რამდენჯერმე. -ა ძველ ქართულში ბრუნვის ნიშანთა ორგანული შემადგენელია და არა ცალკე ელემენტი. ამ ელემენტს თანამედროვე ქართულში დამოუკიდებელი გრამატიკული დისტრიბუცია აქვს. საკითხთან დაკავშირებით ქართველურ ენათმეცნიერებაში განსხვავებული მოსაზრებებია. შედარებით დაუმუშავებელ უბანს წარმოადგენს ქართლური დიალექტის ცალკეულ ხეობებში -ა ხმოვნის ახლებურად

შესწავლისა და ინტერპრეტაციის საკითხი ქართულ სალიტერატურო ენასა და სხვა დიალექტებთან მიმართებაში.

-ა მავრცობი ხმოვნის ფუნქციური მახასიათებლების ანალიზი გამოქვეყნებული ტექსტებისა და ახლად მოპოვებული მასალების ქრონოლოგიური შესწავლის საფუძველზე წარმოგვიდგენს რეალურ სურათს ფრონის ხეობის მეტყველებაში მიმდინარე პროცესების შესახებ.

მეთოდი. კვლევა ემყარება გამოქვეყნებული დიალექტური ტექსტებიდან საანალიზო მასალების შერჩევას, ზეპირმეტყველებაზე დაკვირვებას, სისტემატიზაციას და ანალიზს. გათვალისწინებულია ჩვენ მიერ ჩაწერილი მასალებიც სხვადასხვა სოციალურ და ასაკობრივ ჯგუფში. საკითხის შესწავლის პროცესში გამოყენებულია დაკვირვება, ემპირიული მასალის ანალიზი, კონტექსტის ანალიზი, ანკეტური გამოკითხვა, აღწერისა და შედარება - შეპირისპირების მეთოდები. მოძიებული ემპირიული მასალები აღვწერთ, შევუდარეთ ერთმანეთს ფრონის ხეობისა და სხვა კილოების სამეტყველო კოდები, რადენობრივი კვლევის მეთოდების გამოყენებით გამოვავლინეთ -ა- მავრცობი ხმოვნების ფუნქციური მახასიათებლები. საკითხთან დაკავშირებული სამეცნიერო ლიტერატურის ანალიზის საფუძველზე ქრონოლოგიური თანამიმდევრობით გამოვიტანეთ შესაბამისი დასკვნები.

შედეგები და მსჯელობა. საენათმეცნიერო ლიტერატურაში დამკვიდრებულია აზრი, -ა მავრცობი ხმოვანი ისტორიულად განსაზღვრების ნაწილაკი იყო და გენეზისურად ჩვენებით ნაცვალსახელს უკავშირდებოდა.

განვიხილოთ მოსაზრებები ქრონოლოგიურად:

მეტი გამოხატულების ანუ განსაზღვრულობისათვის (ნათესაობითსა და მოქმედებითში) გამოყენებული ჩვენებითი ნაცვალსახელის ჰა-ს ნაშთი (Mapp, 1925: 22,23). -ა დართული ნათესაობითი მსაზღვრელია („მიმართებაში მყოფი ნათესაობითი“) (Дондуа, 1930: 204-210).

- ა ელემენტი განსაზღვრულ ბრუნვებს (ნათესაობითი, მოქმედებითი, მიცემითი) გამოყოფს განუსაზღვრულისაგან (სახელობითი, მოთხრობითი) (ჩიქობავა, 1956: 266).

ა. შანიძე ბრუნვის ნიშანს არ აკუთვნებს მხოლობითისა და I მრავლობითის მიცემითი, ნათესაობითი, მოქმედებითისა და ვითარებითი ბრუნვებისა და II მრავლობითის (მოთ., მიც., ნათ.) - ა სავრცობიან ფორმებს (შანიძე, 1980: 48). ემფატიკურ -ა-ს ბრუნვის ნიშნებს არ უკავშირებს გ. კლიმოვიც (Климови, 1962: 76).

-ა მავრცობმა ხმოვანმა თანამედროვე ქართულში მორფოფონემატურ ფუნქციასთან ერთად შეიძინა ფრაზის ინტონაციური მოწესრიგების ფუნქციაც, როგორც სალიტერატურო ენაში, ისე მის დიალექტებში (ბერიძე, 1994: 89).

ყოველივე ამის შემდეგ ბუნებრივად დაისმის კითხვა: რას წარმოადგენს განხილული ა ხმოვანი ახალ ქართულში, რა ფუნქცია-დანიშნულება აქვს მას?

ნათესაობითი ბრუნვის -ის/-ისა სუბსტანტიურ მსაზღვრელებში როგორც ძველ, ისე თანამედროვე ქართულში წარმოქმნის ელემენტია და სახელთა შორის სინტაქსურ ურთიერთობაში არ მონაწილეობს (დავითიანი, 1973: 269; უთურგაიძე, 1985:3). თანამედროვე ქართულში ა ელემენტს დამოუკიდებელი გრამატიკული დისტრიბუცია აქვს და ფონოლოგიური და მორფოლოგიური მოთხოვნით არის შეპირობებული (გოგოლაშვილი, 2011:91-92).

-ა მავრცობს თანამედროვე ქართულში ინფორმაციის სტრუქტურირების ფუნქციაც დაეკისრა: „-ა მავრცობი დამოკიდებული წინადადების ბოლოს უკავშირდება კონსტატაციის „ხომ“ ნაწილაკს, თემას გამოყოფს რემისაგან“ (უთურგაიძე, 1985:115).

როგორც არნ. ჩიქობავა აღნიშნავს: „-ა-ს დართვა ამჟამად -მეტ წილ შემთხვევაში - უფრო სტილისტურ საჭიროებას უკასუხებს, ვინემ მორფოლოგიურ ნორმას წარმოადგენს“ (ჩიქობავა, 1956: 266).

რადგან მავრცობი -ა სტილისტური დანიშნულებისაა, ცხადია, მისი ხმარება ინდივიდუალურია და ყველა მწერლის ნაწერებში იგი ერთნაირად ვერ იქნება წარმოდგენილი; ზოგ ნაწერებში ა მეტად ხშირი და ჩვეულებრივია (ეს ითქმის განსაკუთრებით აღმოსავლეთ საქართველოდან გამოსულ მწერლებზე), ზოგი ავტორი კი მას ნაკლებად იყენებს. მისი ხმარების შემთხვევები განსაკუთრებით იშვიათია თანამედროვე სალიტერატურო ენაში. თუ, რა თქმა უნდა, რომელიმე ავტორი განგებ არ ხმარობს მას მოჭარბებული სტილიზაციის მიზნით (ზურაბიშვილი, 1956: 54-55).

პაუზასთან მავრცობი ხმოვნის გაქრობის ერთ-ერთ მიზეზად დასახელებულია წინადადებაში სიტყვათა რიგის შეცვლა: თანამედროვე სალიტერატურო ენაში როგორც წინადადების ბოლოს, ისე მისი ცალკე მონაკვეთების ბოლოსაც, ე. ი. პაუზასთანაც, თითქმის მეტ წილ შესაძლო შემთხვევებში ზმნა ექცევა. ის გვევლინება საერთოდ კონსტრუქციის ჩამკეტის, დამხველის როლში, რაც შეეხება სახელს, ბუნებრივია ასეთ შემთხვევაში პაუზა მასთან აღარ არის, რადგან იგი ადგილს გადაინაცვლებს და ამით ისპობა სახელისათვის მავრცობი ა-ს დართვის შესაძლებლობაც. დღევანდელი სალიტერატურო ქართულისათვის ჩვეულებრივი და ბუნებრივი სწორედ ისეთი წინადადებებია, სადაც ზმნაა წინადადებისა თუ მისი გარკვეული ინტონაციურად გამოკვეთილი, ნაწილების დამაბოლოებელი და არა ა-ხმოვნიანი სახელი: ამის გამოა, რომ იმ შემთხვევებში, როცა სახელი ბუნებრივად ექცევა პაუზასთან, თუ მას მავრცობი ა დაერთო, ეს ამბიუმებს და დიალექტურ ელფერს აძლევს ენას.

გავრცობილი ფორმები არ იკრძალება პაუზის წინ როგორც საზღვრულის მომდევნოდ, ისე ნებისმიერი აგებულების ზმნათა მომდევნოდ: წიგნი მეგობრისა მიუტანა ძმასა, ეტყვის ძმასა და ა. შ. ასეთ წყობაში გავრცობის ხმოვნები შენახულია უპაუზო პოზიციაშიც, მაგრამ აღარ შეიძლება ძმასა ეტყვის, ძმასა უშენებს, რასა გვიზადებს და სხვა. ეს ვითარება, რაც თანამედროვე ქართულში გვაქვს და განასხვავებს მას ძველი ქართულისაგან, გარკვეულმა პირობებმა შეამზადეს.

ბრუნვაში შეთანხმება საჭირო აღარაა იმისათვის, რომ კონსტრუქცია დაიხშას, ამისთვის ემფატიკური ა ხმოვნის დართვა საკმარისი (გიგინეიშვილი, 1975: 337).

გ. დეტერსი მიუთითებს „ემფატიკურ ა-ს რიტმულ-ფონეტიკურ არსზე“ (Deeters. 1926: 53).

აღ. ფოცხიშვილის აზრით, ა-ს ადგილი არის პაუზის წინ, რადგან მას ფონეტიკური ფუნქცია შემორჩა და ეს ფუნქცია გამოიხატება სიტყვის ბოლო მარცვლის ღიაობის შექმნაში (დახურულმარცვლიან ფუმესთან) (ფოცხიშვილი, 2000: 337). ლ. პალმაიტი ვარაუდობს, რომ „ხმოვნიანი ამოსავლის შემდეგ არც „დეტერმინანტი“ და არც დეტერმინაციის საჭიროება არ იგრძნობა, ამას უნდა დაემატოს, რომ თანხმოვნიანი ამოსავლის შემდეგაც -ა ელემენტი მაინც არ გვხვდება, თუ წინამავალ თანხმოვანს სხვა -ა-უსწრებს, მაგ., ადგილას, ქალაქად (კაცადა ტიპის ფორმები ახალი და ხელოვნურია) (პალმაიტი, 1978: 114).

ს. ჟღენტმა გამოთქვა ვარაუდი, რომ ა-ს ფონეტიკური ფუნქცია შესაძლებელია ტონის მოძრაობის გამართვაში გამოიხატებოდეს (ჟღენტი, 1956: 97-98).

თ. ზურაბიშვილს ემფატიკური -ა-ც მახვილის მქონედ მიაჩნია. მისი აზრით, ემფატიკური -ა, რომელსაც გრამატიკული ფუნქცია აღარ აქვს, სწორედ მახვილის ქონამ გადაარჩინა ენაში (ზურაბიშვილი, 1972: 57).

სადემარკაციო -ა-ს ფუნქცია ყველგან ერთი და იგივეა, მაგრამ წარმომავლობით ნაირნაირი ჩანს: იგი შეიძლება იყოს ფუძისეულ ხმოვნად ქცეული ოდინდელი სადეტერმინაციო ელემენტი (ემფატიკური -ა), ფუნქციურად რეინტერპრეტირებული

ძირეული ხმოვანი (არა, სადა), მორფემის უშუალო შემადგენელი (მოთხრ. ბრუნვის /მა/-ს ა: დედამა) და ბოლოს ამათი ანალოგიით გაჩენილი -ა (შენა, თქვენა: ძმისგანა, ძმისკენა და სხვ.) (უთურგაიძე, 1985: 114).

განხილული მოსაზრებებიდან ჩანს, რომ -ა მავრცობ ხმოვანს ქრონოლოგიურად გავლილი აქვს ფუნქციური რეინტერპრეტაციის 3 საფეხური: I საფეხურზე იგი იყო განსაზღვრებითი ელემენტი (ძველ ქართულამდე), II საფეხურზე იქცა ირიბ ბუნვათა (მიც., ნათ., მოქმ.) ორგანულ შემადგენელ ნაწილად ბრუნვათა ნიშნების ალომორფებში პოზიციურად (ძველ ქართულში); III საფეხურზე, შეიცვალა რა დისტრიბუციული თვისებები, -ა წარმოადგენს დიერემასა და ტექსტის ერთ-ერთ აქტიური ელემენტი: ახდენს წინადადებათა, შესიტყვებათა წყვილების, ცალკეული სიტყვებისა და მორფემების დემარკაციას ტექსტში (თანამედროვე ქართულში).

ზემოთ განხილული მოსაზრებები გვიჩვენებს, რომ -ა მავრცობი მორფოლოგიური ელემენტია და სახელთა ბრუნვის ბლოკში განიხილება, მაგრამ მას შეიძლება ჰქონდეს ინტონაციური და პრაქტიკული ფუნქციები -- ეს არის ფრაზის ინტონაციური დაბალანსების ფუნქცია, ენობრივ სემგემენტთა დემარკაციის ფუნქცია და წინადადებაში ინფორმაციის სტრუქტურირების ფუნქციები (ბერიძე, & ბაკურაძე 2020: 396).

რა დანიშნულება აქვს -ა მავრცობ ხმოვანს ფრონის ხეობის მეტყველებაში? განვიხილოთ ფუნქციათა გამოვლენის შემთხვევები შესაბამის საილუსტრაციო მაგალითებზე დაყრდნობით.

ფრონის ხეობის მეტყველებაში -ა მავრცობი იმავე ფუნქციით გამოიყენება, როგორც სალიტერატურო ენასა და სხვა დიალექტებში გვხვდება, შეინიშნება გამოვლენის განსხვავებული შემთხვევებიც.

შესაძლებლად მიგვაჩნია, გამოვყოთ -ა ელემენტის ფონეტიკური, გრამატიკული (მორფოლოგიური, სინტაქსური), სადემარკაციო და სტილისტიკური ფუნქცია.

1. ა მავრცობის ფონეტიკური ფუნქცია:

-ა მავრცობი თანხმოვანთგამყარის ფუნქციას ასრულებს:

საზოგადო და საკუთარ სახელებში ც ნაწილაკის წინ.

მხოლოდითი რიცხვის მოთხრობით (-მ) , მიცემით (-ს) , ნათესაობით (-ის, -ს), მოქმედებით (-ით, -თ) და ვითარებით (-ად,-დ) ბრუნვის ფორმებზე ც ნაწილაკის დართვისას -ა ელემენტი საზოგადო და საკუთარ სახელებში გამოიყენება თანხმოვანი კომპლექსების (მც, სც, თც, დც ...) თავმოყრის დასაძლევად. მაგ.:

ჩხლართი ბელურაზე დიდია, რუხი ფერი აქ, ხის წვერზე იკეთეფს ბუდესა, **ჭიადუსაც** ეტანება, **მარცვალსაც** ჭამს (ბროწ.) (ბეროზაშვილი, მესხიშვილი, & 2006 : 160). **მერაბამაც** თქვა ეგა (ტახტისძირი); **რასაც** დიდი ზიანი მოჰქონდა ადამიანისათვის (დირბი); ფრონი პირზე გაიარა ჩემმა **ახალგაზრდობამაც** (ნული); [წყალი] მამიტანე, **წყალსაც** დავლენ (დირბი); **კარტოფილსაც** გააფუჭებს... გიმზერი ძალო? (დირბი); ჩემ ბავშვობაში ცხინვალში **ფეხითაც** გადავდიოდით და **ურმითაც** (ტახტისძირი); დავუგვი ძაღლსა გეროს შუბაი, **თბილათაც** იქნება და **რბილათაც** (ტახტისძირი).

-ა მავრცობი თანხმოვანთგამყარის ფუნქციით გვხვდება საზოგადო სახელების -ებთან მრავლობითშიც. მაგ.:

სამამულო ომი [ს] დროს **ბავშვებსაც** უჭირდათ და **ქალებსაც** (დვანი); ერთი **კარგებისაც** შეუკურთხა და დატოვა გაღიმებული (ბრეთი); ძველათა პურ-**მარილებითაც** იყო ხალხი განთქმული, ეხლა აღარა... (ავნევი).

გარდა აღნიშნული შემთხვევებისა, ამავე ფუნქციით -ა ელემენტი გვხვდება:

ზმნისართთან: **სადაც** ერდო მაღალი იყო, დღეობასა ჩვენ იმისი მაყარი ვიყავით

(სალოლაშენი); **რამდენჯელაც** ვუთხარი და მიიყურიძირა, ნეტა შენა რა (არადეთი).

კავშირთან: შენ **რახანაც** კარგად დაგყავს მანქანა, ჩვენ შე შეგირიგებთ კაი ბიჭსა.

ნაწილაკთან: ბარემაც უნდოდა, მაგრამ ვეღარ დადო ბარაქაი (კეხიჯვარი);
კინალამაც არ წაგვიღო წყალმა (ფცა).

თანდებულთან: დიდი მუხების გამო ამ **სოფლისათვის** დაურქმევიათ დიდმუხა (ტახტისძირი); რო გადაიწევდა დღე **შუადღისაკენ**, მაშინ დავყრიდით ხოლმე საყარზე საქონელსა (ნული).

-ა მავრცობი ჩაერთვის თანდებულსა და -ც ნაწილაკს შორის. მაგ.: ისე იყო არეული, **სახლისკენაც** ვერ გაიგნო გზა (დირბი).

ზოგჯერ სიტყვაში ერთი და იმავე ფუნქციით ორი -ა მავრცობი გვხვდება: ერთი თანდებულის წინ, მეორე კი -ც ნაწილაკის წინ. მაგ.: იყავი შენი შენი ცოლ-**შვილისათვისაც** (ბრეთი); აი, ეს მარშუტკაი გაივლის **დირბისაკენაც** (დვანი).

ერთგვარ წევრებთან კავშირის (და, ან) წინ: თანხმობანთგამყარის ფუნქციას ასრულებს ორ ერთგვარ წევრთან და ან კავშირის წინ ენკლიტიკურ პოზიციაში. მაგ.: **წყალსა ან** მაჭარს შევთავაზებდით გამლელ-გამომლელსა (ტახტისძირი).

და კავშირის წინ თანწყობილ წინადადებაში:

შესაძლებელია, ამავე ფუნქციას ასრულებდეს -ა მავრცობი და კავშირის წინ რთულ თანწყობილ წინადადებაშიც. მაგ.: ღორის ხორცმა იცის, გულს მოუნოყივრეფს ხომე **ბავშვეფსა** და აღარაფერ ჭამენ მერე; დაიწყებს ჩემი ქმარი, აუყოლებს **დალევასა** და ერთ კვირაში აღარ იქნება (სადოლაშენი).

როგორც საანალიზო მასალებიდან ჩანს -ა მავრცობი ხმოვნის თანხმობანთგამყარის ფუნქცია გამოიკვეთა სხვადასხვა მეტყველების ნაწილთან და ერთგვარ წევრებთან და კავშირის წინ (სც, თც, მც, დც, ნც, სგ, ლც, გნ, სც, ნკ....) კომპლექსების დასაძლევად (მარცვალსაც, წვიმამაც, ფეხითაც, თბილადაც //თბილათაც, სადაც, რახანაც, ბარემაც, კატასავით, ხორცისაგან, დირბისაკენაც, თოფსა და დამბაჩას).

-ა მავრცობის მარცვალთგამყარის ფუნქცია.

-ა ელემენტი თანხმობანთა გამყარის ფუნქციასთან ერთად შეიძლება ასრულებდეს მარცვალთგამყარის ფუნქციასაც -ცა ნაწილაკის დართვისას (ნცა, ლცა ...). მაგ., წმინდა მატყლია მაუდი მატყლი, დასართავადაც ვხმარობდით, **ლოგინისთვინაცა** (სად.) (მესხიშვილი, 2006 : 103).

რამდენიმე თანხმობის თავმოყრის დროს -ა ელემენტი -ცა ნაწილაკის წინ მარცვალთგამყარის ფუნქციასთან ერთად ხელს უწყობს მარცვალთა რაოდენობის გაზრდასაც.

-ა მავრცობის მარცვალთარაოდენობის გაზრდის ფუნქცია.

-ა მავრცობი სიტყვის ბოლოს, თანხმობანზე დაბოლოებულ ფორმებთან ხელს უწყობს მარცვლის ღიაობასა და სიმრავლეს.

ა) მიცემითი, ნათესაობითი, მოქმედებითი, ვითარებითი და ნაწილობრივ მოთხრობითი ბრუნვის ნიშნებთან მხოლოდობით და მრავლობით რიცხვში:

არსებით სახელებთან: წაიყვანა ძმამა; ქალი დატოვა მამამა. **ზედსართავ სახელებთან:** ვირანა ლობიო კავიანი ლობიოა, მარცვალს ისხამს შავსა; პატარას დავაკრამთ თონეზე შოთებივითა **გრძელეფსა**; ყველა მიადგა ამ საწყალ მარშუტკი შოფერსა, **დაბალსა** ღობესა; არც **დიდისა** ერიდება და არც **პატარისა**.

რიცხვით სახელებთან: პატარა სოფელი არი და ყოველდღე ხედამენ **ერთიმეორესა**; როცა კაი ნახურები თონეა, ზოგი აღარც ამახურეფს, ისე მიაკრამს **ცოტასა**.

ნაცვალსახელებთან: ეხლა მე შენა მოგცემ ფულსა ; სანამ თბილი ამინდები იყო, არ დათესეთ **თქვენა?**

ზმნებთან: ამ დროს ვიბნევითა (ტახტისძირი); აი, ავი ჭკუისას მეხუმრება ეგა, თუ აუარდი სახლშია, მერე **ნახოსა**.

ზმნისართებთან: ბილიკები გადახნა იქითა (დვანი); აგერა ვარ (სალოლაშენი); ე მანდერა, შვილო, ადგილი დაკავებულა (სალოლაშენი); შენი ფრანტები სადა დევ? (არადეთი); შიგა იყრებოდა ხორბალი ხვიმირაში (დვანი); წელანა სიმღერასა ჭიკჭიკებდა რაღაცასა (ქარელი).

თანდებულებთან: დადის ისე გაშლილი თმითა, გაწეწილი ალივითა; ისეთი უნდა იყოს ვეფხვივითა გამოვა ახლა ძმის მოყვანილ ცხენთანა ; მივიდა მამობილთანა; მიატეტყა ის შპალერი კედელზედა; კანი [ს] ზედანა ისეთი ლბილი ხორცი წამოუა, რო... ყურძენი რო გამოიხანძლება გვალვისაგანა.

კავშირებთან: წყალი დაწყვიტე თორემა, სულ წაიღებს ყველაფერსა (ტახტისძირი).

ნაწილაკებთან: ვერა ძძლეფს; კარები მამეყენებინა მაინცა! ი მურაბა რო ჩაიმთხლოვე, ველარა მკითხე? მოიტანს ხომა?..

შორისდებულთან: ეჰა! რა მძიმეა! ჰაიტა, საითა გამექცევი შენა (დვანი).

ვფიქრობთ, ღია მარცვლის შექმნით არ ამოიწურება -ა მავრცობის ფუნქცია.

-ა მავრცობის სიტყვათა ნორმალური დამარცვლის ფუნქცია.

-ა მავრცობი ხელს უწყობს მარცვალთ სიმრავლეს და იძლევა ნორმალური დამარცვლის საშუალებას. მაგ.: შენ - შე-ნა; ჩვენ - ჩვე-ნა; მანდ - მან-და ; თითონ - თი-თო-ნა ; მაგრამ-მაგ-რა-მა; რომ-რო-მა; სახლს- სახლ-სა; მაინც-მა-ინ-ცა; ვერ-ვე-რა; მანდა-მან-და...

-ა მავრცობის ბრუნვის ნიშნის დაცვის ფუნქცია.

-ა მავრცობი უმეტეს შემთხვევაში იცავს ბრუნვის ნიშანს დაკარგვისაგან. მაგ.: ქალები დირბისა ყველა ავია, თუ არ მოეწონე მაინცა (ბრეთი). გამონაკლისი გვაქვს ქვემო ქართლურში, სადაც -ა ხმოვნით გავრცობილი ფუძეთანხმოვნისა სახელები მიცემითი ბრუნვის გარეშე იხმარებიან (პურა, კოვზა..).

2. -ა მავრცობის გრამატიკული ფუნქცია.

ფრონის ხეობის მეტყველებაში გრამატიკული ფუნქციით -ა მავრცობის რეალიზაციის შემთხვევები სალიტერატურო ენისა და სხვა კილოების იდენტურია. -ა მავრცობი ხელს უწყობს ბრუნვის ნიშნის ნაირსახეობათა/ ალომორფთა სიმრავლეს.

მოთხრობითი ბრუნვის ნიშნად ხმოვანფუძიან საზოგადო და საკუთარ სახელებთან -მ და -მა ალომორფი მონაცვლეობს. -მა ვარიანტი გამოვლინდება:

ა) თუ სახელს წინადადებაში ბოლო პოზიცია უკავია. მაგ.: ააშენა მამამა (ტახტისძირი); კლავები ჩამაწყვიტა მძიმე ვედრამა (ბროწლეთი); ამ ადილზე სახლი ააშენა ტარიელამა (დირბი). შდრ. ბუზარამ უკბინა საქონელსა (დვანი); ნაგერალა კამამა აასწრო ნიახურსა (ბრეთი).

ბ) პაუზასთან: ძალიან გაიპრანჭოს, მაგისმა შხემა, პირს დასწვამს! (ბეროზაშვილი, მესხიშვილი, & ნოზაძე, 1981: 351).

გ) და კავშირის წინ: ქალი დატოვა მამამა და დაბრუნდა თავის მიწაზე.

შეინიშნება ამ წესის დარღვევაც, ზოგჯერ მავრცობი ხმოვანი გვხვდება წინადადების თავში. მაგ.: ი ძმამა სულ გახვითქულმა იმუშავა (ტახტისძირი) .

მიცემითი ბრუნვის ნიშნად მონაცვლეობს: -ს , -სა და -ი ალომორფი. -სა ალომორფი გამოვლინდება პაუზასთან, და კავშირის წინ და შემდეგ, ჩამოთვლისას, წინადადების შიგნით და ბოლო პოზიციაში. მაგ., ჩემ ძმასა იმნაირი ცოლი ყამსო, რომ იმისთანა ცხოვრება არ შეიძლებაო (დვანი)(იმნაიშვილი, 1974 ბ : 95).

ნათესაობითი ბრუნვის ნიშნად გამოვლინდება -ის, -ისა, -ისი, -ს, -სა -სი, -ი. ალომორფები. -ისა, -სა ალომორფი რეალიზდება მაშინ, როცა საზღვრული წინ უსწრებს მსაზღვრელს. მაგ., ლანგურაი თიხისა იყო ხომე ტაბაკი ტოლაი (იმნაიშვილი, 1974 ბ : 263).

მოქმედებითი ბრუნვის ნიშნის ალომორფებია: -ით, -ითა, -ითი, -თ, -თა -თი. -თა.
-თა ალომორფიანი მოქმედებითი გამოვლინდება წინადადების შიდა და ბოლო პოზიციაში, ხშირად გვხვდება ზმნის წინ, შემდეგ და ერთგვარ წევრებთან. იშვიათად დასტურდება ზმნის წინ. მაგ.: ვემსახურე ჩემი ალალი გულითა; აფიცერსა ეყურებინა დურბინდითა; გერსლითა აქ სახე სამსეი; თოხითა ვთოხნით, ტრაქტორითა ხნამენ; მურაბაი კეთდება შინდითა, კაკლითა, ალუბლითა, გოგრითა, კომშითა, ლედვითა.

ვითარებითი ბრუნვის ალომორფებია -ად, -ადა, -ათ, -ათა, -დ, -და, -თ, -თა.

ფრონის ხეობის მეტყველებაში თანხმოვანფუძიან სახელებთან გამოვლინდება -ათა ალომორფი, ხმოვანფუძინებთან -- -თა ვარიანტი. მაგ.: დარდათა აწევს ეგ ამბავი (ფცა); ხელი არავითვინ გაუწოდებიათ სამათხოვროთა (არადეთი).

-ა მავრცობი ხმოვანი ერთმანეთისაგან გაარჩევს ზმნისწინიან და უზმნისწინო ფორმებს. -ა მავრცობი არ გამოვლინდება ზმნისწინიანი ფორმების წინ. მაგ., ფოჩხსა აქ დედანი (რუისი). შდრ. ფიჩხს მოაგროვებენ გაზაფხულით და დასწვამენ მინდორში (ბრეთი).

გვაქვს გამონაკლისიც: მამაჩემსა მინდი მოჰქონდა და ჭადბურას გამოგვიცხოვდა (ნული); ჭადსა ოთხათ გავტეხავდით ხოლმე და ცივს ვჭამდით, მა ქათამსა ვინ დაგვიკლავდა (ნული); ჯიგა, მოიხედე, მე უნდა წავიდე და საჭმელსა დაუსხან? (დირბი).

სალიტერატურო ენაში მეშველი ზმნის ა სახელზე დართვისას აუცილებლობით მოითხოვს -ა მავრცობ ხმოვანს, რადგან მეშველიზმნისეული ა აღქმულია მავრცობ ხმოვნად. ე. ი. მისი გაჩენა ხელს უწყობს შემასმენლის ზმნურობას მეშველიზმნისეული ა-ს წინ. ფრონის ხეობაში ასეთი ფორმები ნაკლებად გვხვდება. მაგ.: ეგა შობლების ზურგსაა ამოფარებული; მანდაა ეგა (დვანი); კარგათაა უკვე გოგიაი (დირბი).

3. -ა მავრცობის სადემარკაციო ფუნქცია.

-ა მავრცობს სადემარკაციო დანიშნულება აქვს:

ა) თუ მართული მსაზღვრელი პოსტპოზიციურია. -ა მავრცობი კონსტრუქციის ჩამკეტად გვევლინება წინადადებაში, სხვა წევრებისაგან იმიჯნება და შინაარსი გასაგებია. მაგ., კალამი არი იარაღი რკინისა (ბეროზაშვილი, მესხიშვილი, & ნოზაძე, 1981 : 239). შდრ. ეზო-ყურეზე ბავშვის ბღავანი არ ისმის (დვანი).

ზოგჯერ ასეთი სინტაქსური წყვილი გათიშულია, მაგრამ სადემარკაციო ფუნქცია მაინც გამოკვეთილია. მაგ.: პატარა ლეკვი რო არის ძაღლისაი, ან სცივა, ან შიერია (რუისი); რაღაც წამალი იციან ელქუნისაი (კავთ.) (მესხიშვილი, 2006: 28, 80).

ალ. ლლონტის მიერ ჩაწერილ მასალებში საგანგებოდ არის ყურადღება გამახვილებული შიდაქართლურში დადასტურებულ შემთხვევებზე, სადაც კონსტრუქციის ჩამკეტის ფუნქცია სახელობითი ბრუნვის -ი ნიშანს აქვს დაკისრებული. მაგ.: თავი(ს) საქმისაი არა იცის რა, სხვისასა ბევრს გეტყვის; ეხლაც კარგა მახსოვს ზღაპრები და ლექსები პაპი-ჩემისაი (დირბი) (ლლონტი, 1980: 115).

ბ) სადემარკაციო ფუნქცია უნდა ჰქონდეს -ა მავრცობს განმარტოებულ მართულ მსაზღვრელთან. ხშირ შემთხვევაში ასეთი მსაზღვრელი საზღვრულდაკარგულია. მაგ., არ მიიძუმა იმის ძირში, ჭანჭურისაი.

გ) მართულ - შეთანხმებულ მსაზღვრელთან -ა მავრცობი სასაზღვრო ფუნქციას აძლიერებს. მაგ., ბურიაყ დააყენეფს ხომე ტვრისისასა (წვერი).

ამავე ფუნქციით არის გამოყენებული ორი მავრცობი საილუსტრაციო მაგალითებში: გაკორავიწებული პურისასა გააკეთებენ ხარშოსა; გემოს გასასინჯად პირში გაჩერებასა საქმლისასა დაგემოვნებას ეტყვიან (კავთ.) (კობერიძე, 2024: 231).

დ) ატრიბუტული მსაზღვრელის საზღვრულზე დართული მავრცობი ხმოვანი წყვილს გამოარჩევს წინადადების სხვა წევრებისაგან. მაგ.: სუბუქი ჭკუისა არი აფმატურაი (სამწ.); წუტის შადღვებელისა არც კარაქი იჭმევა, არც დო დიალევა

(მესხიშვილი, 2006: 168).

ე) -ა მავრცობი კონსტრუქციას ხმავს შესიტყვებებში. შემასმენლისა და ქვემდებარის სინტაქსური წყვილი გამოიყოფა ერთმანეთისაგან. მაგ.: სიძე აძლევს სიდედრს **საჩუქარსა**; რო გაჩერდებოდა და აღარ იდუღებდა, **გამოვხდიდით არაყსა** (ქვემო ჭალა) (იმნაიშვილი, 1974 ბ. : 31).

შემასმენლისა და საჭურვლის უბრალო დამატების სინტაქსური წყვილი გამოიყოფა ერთმანეთისაგან. მაგ.: **თოხითა** ვთოხნით, **ტრაქტორითა** ხნამენ ; **შიმშილითა** სული გვძვრება; ციცი, რასა შვრები იმ **სათვალეებითა** კარქათა **ხედან?** (დირბი).

ზ) -ა მავრცობს განსაზღვრულ პოზიციებში უხდება დიერემის ფუნქციის შესრულება. მაგ.:

ნაცვალსახელებთან: **ვინა ხარ** თავხედი, აქ რომ მოსულხარ? **რასაა სწერამ** ეხლა? (ბნავისი); **რასაა ფჭამენ?** აბა იქ **დადწერამს** ბევრ **რამესა!** .

ზმნიზედებთან: **აქა, იქა, აქა, აეგა, ბოლოსა, მანდა, წინა, სადა, საცა, შიგა, შინა, შარშანა, გვიანა, კიდენა/ კიდევა, კიდევაცა, ახლაცა/ ეხლაცა, ახლავცა/ ეხლავცა, წუხელა, გუშინა, წინასწარა, არსადა, ვერსადა ...**

ცალკე უნდა გამოიყოს გრამატიკული პრეფიქსის მქონე ზმნების წინ მავრცობიანი ზმნიზედები: **მანდა** გზაი **ჩაიკეტება** (სალოლაშენი); მაგ **საფენებსა** **ნურსადა** **შიიტან** (ატენი); **ახლაცა** ისე **გამწიწკნის** ხოლმე ეს ფეხი (დირბი); **ეხლაცა** ცოტა ჩავზარეი (ტახტისძირი); **ეხლავცა** **გამოვყვები** მარშუტკასა მეთქი (დვანი); **შარშანა** რო ტახტისძირში **ავიარე**, ფრონე რო დავინახე, ასე მეგონა ავნევში ვიყავი (ავნევი).

დიერემის ფუნქციით გამოიყენება -ე მავრცობი¹ საილუსტრაციო მაგალითში: **ხვალე** და კარგათა ჩაუსხედით სიძე-ცოლისძმაი.

ნაწილაკებთან: **არა, ვერა, ნურა, არცა, ვერცა, მაინცა, ხომა, კიდევა, ეგება, მაშა, კინალამ ...**

დაგეპასუხებიან მაინცა (დის.); **მიჩულამდით მაინცა**, რო არავის დეენახა (ერედ.); ე ჭყუტეები რა მოსაკრეფი იყო, არ **გეზარებოდა მაინცა?** არ **დაიკარგება ხომა?** (ბრეთი); **მოხვალ ხომა?** (ტახტისძირი); უკვე **კიდევა მოიკრიფა** ყურძენი (დვანი);

ბარემა გამოკრიფე ეს ვაზიცა (ტახტისძირი); **ეგება** ცოტა **წახმარო** ხელი (ტახტისძირი); ეგა **ვითომა არა მქონია** (ტახტისძირი); დამიჭირეს... **მაშა** პური **ჭამეი** (სალოლაშენი).

გრამატიკული ფუნქციის მქონე პრეფიქსების წინ: **ეგება** ცოტა **წახმარო** ხელი (ტახტისძირი); **კინალამა** წყალში არ **გადააგდო** (ტახტისძირი).

გრამატიკული ფუნქციის მქონე ზმნური პრეფიქსების წინ -ა მავრცობხმონიანი ფორმები ანალოგიითა და მთქმელის აქცენტირების საჭიროებით უნდა იყოს განპირობებული.

სხვათა სიტყვის ო ნაწილაკიან ფორმებში -ა-ს დიერემის ფუნქცია აქვს, მორფემებს ყოფს ერთმანეთისაგან. მაგ.: ჩვენი ხალხი ხმალზე ისობენ **ხელსაო**; ეს კუთხე - **შენაო**, ეს-**თქვენაო**, ეს - **ჩვენაო**, ეს -**მენაო**, მე კი დავრჩი ხახამშრალი

მავრცობი -ა დიერემის როლშია შედგენილი შემასმენლის ზმნური ნაწილის წინაც, როდესაც **არის** ზმნა ა-ს სახითაა წარმოდგენილი და მორფემად არის ქცეული. მაგ.: მწონი **კამეჩისაა** და წვადი **კიდევა** ღორისაი; მიირთვი, ატამი **ვენახისაა** და კაკალი **კიდევა** ახალი ჯიშისა ; ეს **ტკბილი** **ვაშლისაა** (დვანი).

¹ აღმოსავლური დიალექტებისათვის დამახასიათებელი გავრცობის -ა-ს ფუნქციას უკავშირებენ -ე, -უ და -გ ხმოვნებს ლეჩხუმურისა და იმერულის ფორმებში: მაქე (შდრ. მაქ), რაცხასე, ხესე, ერთნაირსე (ძოწენიძე, 1973: 258).

სადემარკაციო ფუნქცია აქვს მიმართვის წინ -ა მავრცობდართულ სახელს. მაგ.: მიხედვით მაგ შენ **ოჯახსა**, კაცო, რო დადიხარ აღმა-დაღმა; შეხედეთ მეზობლებო ამ შარახვეტია **ხალხსა**, მეზობლებო, გამატყუნებთ ამათთანა (ბრეთი).

-ა მავრცობს სასაზღვრო ელემენტის ფუნქცია აქვს თხოვნის, ფიცილისა და მუქარის აღმნიშვნელ გამოთქმებში. მაგ.: დაძმობის **მაღლსა**, ქვეით ჩამირბეინე ე საფქვავე (დირბი); **შვილოსა**, ეგ რა გამოვიდა, შენი გაკეთდა და ჩემი გაფუჭდა (სალოლაშენი); წმინდა გიორგის **ძალასა**, ჩამოვიდა მშვიდობითა.

-ა მავრცობს სასაზღვრო ელემენტის ფუნქცია აქვს ბრუნვის ნიშნით გაფორმებულ პირის ნაცვალსახელებთანაც. მაგ.: რო კირწლი აყრია **ამასა** (კავთ.); ფეხი არ მაადგა **ჩვენსა**; აკრეფა აღარ უნდა **ამასა**? ; აღარც სირბილი შაუძლია **იმასა**.

-ა მავრცობი სასაზღვრო ელემენტის ფუნქციით შეიძლება შეგვხვდეს პაუზასთანაც: რო დაიღლებიან ან **სიარულითა** ან **საქმითა**, იტყვიან, ქარი ამოვიღეთო; რასაცა სცემენ **ჯოხითა**, ყველაზე იტყვიან, კარქა გაპენტესო (ბეროზაშვილი, მესხიშვილი, & ნოზაძე 1981: 30); ლობიოს გავაკეთებდით **მწარესა**, წითლად შეფერადებული კომოსტოს **წნილითა** და კაი დირბულა **ღვინითა** გადავატარებდით მეძნეურებსა (დირბი).

- ა მავრცობი სადემარკაციო ფუნქციას ასრულებს წინადადების ბოლოს (როგორც მარტივ, ისე რთულსა და შერწყმულ წინადადებებში).

მარტივი წინადადება: ეგა ისეთი ცხენთავა არი კაკალაანთ **ტასოსავითა** ; დედა ენაცვალს ჩემ **ვასიკოსა**. **შერწყმული წინადადება:** იმასაც უზამთ **წვანილსა**, **წიწკასა**, **მარილსა**. ერთხელ აქ დახვდნენ ყაჩაღები **გიორგასა** და **სხვებსა**.

საილუსტრაციო მაგალითებში დასტურდება „ჭარბი“ მავრცობი -ა ხმოვნის გამოყენების შემთხვევები. მაგ.: ყურძენი რო გამოიხანძლება **გვალვისაგანა**, გარკოვდება, გამაგრდება (ბეროზაშვილი, მესხიშვილი, & ნოზაძე, 1981: 110); გამოყვიციანებულიდა იმის **ტირილისაგანა**; სიმინდები სულ დახლეჩილა **სეტყვისაგანა**; წამოვიდა თავის **ქვეყნისაკენა** (იმნაიშვილი 1974 ა: 9).

თანდებულის წინ -ა მავრცობი თანხმობანთგამყარის ფუნქციას ასრულებს, ამავე დროს გამოჰყოფს მორფემას, ხოლო თანდებულის შემდეგ კი სადემარკაციო ფუნქციას ასრულებს.

4. -ა მავრცობის სტილისტური დანიშნულება.

ქართულში -ა ხმოვანდართული სიტყვები აქცენტირებულია, ინტონაციურად გამოყოფილია. ასეთი სიტყვების შემდეგ ჩნდება პაუზა. ხშირად ზმნა სხვადასხვა წევრის გარემოცვაში მეორე ინტონაციურ ერთეულშია მოქცეული . ამგვარ წინადადებებს ახასიათებს დინჯი, აუჩქარებელი თხრობა. მაგ.: ამ **ბეგსა** / ჰყვანდა ქალაქელი ქალი მოტაცებულო (ნაწრეტი); ჩემ **ძმასა** / იმნაირი ცოლი ყამსო, რომ **იმასთანა** / ცხოვრება არ შეიძლებაო (დვანი). **ქვასა** / აღარა ძქონდა ჩასავალი (მეგვი).

სტილისტური დანიშნულებით უნდა იყოს გამოწვეული -ა მავრცობის გამოყენება პრევერბიან ზმნების წინ. მაგ.: **წყალსა** / **დავასხავ** ხოლმე; ამ დაგლეჯილ **ჩუსტეფსა**/ კაი მაზასეფე **გამოჭიმავს** აქა (მერ.) (მესხიშვილი, 2006:239).

-ა მავრცობი ხელს უწყობს ფრაზის რიტმულობას. მაგ., საილუსტრაციო მაგალითი ხალხური პოეზიის ნიმუშებიდან:

ლაზარე (წვიმის თხოვნა)

ლაზარ მოდგა კარსა, იგრიალა **ცასა**,

მიდგა - მოდგა თაროსა, დეემსგავსა **მთვარესა**,

აბა ჩვენო ელია, რაზედ მოგიწყენია?

თეთრი ციკან-ბატკანი, შენთვის მოგვირთმევია,

ჩვენ დაგიკლავთ **ციკანსა**, შენ მოგვიყვან **წვიმასა**.

აღარ გვინდა გორახი, ახლა გვინდა **ტალახი!**

დასკვნა. ამრიგად, ფრონის ხეობის მეტყველებაში -ა მავრცობი გამოვლინდა ფონეტიკური, გრამატიკული, სადემარკაციო და სტილისტური ფუნქციით პოზიციის შეუზღუდავად. თანდებულის წინ -ა მავრცობი თანხმომვანთგამყარის ფუნქციას ასრულებს, ამავე დროს გამოყოფს მორფემას, ხოლო თანდებულის შემდეგ კი სადემარკაციო ფუნქციას ასრულებს.

გრამატიკული ფუნქციით -ა მავრცობის რეალიზაციის შემთხვევები სალიტერატურო ენისა და სხვა კილოების იდენტურია. ის ხელს უწყობს ბრუნვის ნიშნის აღმომრფთა სიმრავლეს.

-ა მავრცობს სადემარკაციო დანიშნულება აქვს, თუ მართული მსაზღვრელი პოსტპოზიციურია. -ა მავრცობი კონსტრუქციის ჩამკეტად გვევლინება წინადადებაში, სხვა წევრებისაგან იმიჯნება და შინაარსი გასაგებია.

სადემარკაციო ფუნქციით არის გამოყენებული ორი მავრცობი საილუსტრაციო მაგალითებში: გაკორავიწებული **პურისასა**; გაჩერებასა **საჭმლისასა**...

-ა მავრცობი კონსტრუქციას ხშავს შესიტყვებებში. შემასმენლისა და ირიბი დამატების, შემასმენლის და საჭურვლის უბრალო დამატების სინტაქსური წყვილი გამოიყოფა ერთმანეთისაგან.

სხვათა სიტყვის ო ნაწილაკიან ფორმებში -ა-ს დიერემის ფუნქცია აქვს, მორფემებს ყოფს ერთმანეთისაგან (გზასაო, ვაჟსაო...). -ა მავრცობი ხალხური პოეზიაში ხელს უწყობს ფრაზის რიტმულობას. საილუსტრაციო მაგალითებში დასტურდება „ჭარბი“ -ა მავრცობი ხმოვნის გამოყენების შემთხვევები (სეტყვისაგანა, ქვეყნისაკენა...).

გამოყენებული ლიტერატურა და წყაროები

- ბერიძე, მ. (1994). *სამცხურის ძირითადი თავისებურებანი*. საკანდიდატო დისერტაცია. თბილისი.
- ბერიძე, მ., & ბაკურაძე, ლ. (2020). *ქართული ენის ფერეიდნული დიალექტი*. თბილისი.
- ბეროზაშვილი, თ., მესხიშვილი, მ., & ნოზაძე, ლ. (1981). *ქართლური დიალექტის ლექსიკონი*. თბილისი.
- გიგინეიშვილი, ი. (1975). *გამოკვლევები „ვეფხისტყაოსნის“ ენისა და ტექსტის კრიტიკის საკითხების შესახებ*. თბილისი.
- გოგოლაშვილი, გ. (2011). *თანამედროვე ქართული ენის მორფოლოგია*. თბილისი.
- დავითიანი, ა. (1973). *ქართული ენის სინტაქსი*. თბილისი.
- ზურაბიშვილი, თ. (1956). ემფატიკური ხმოვანი ახალ ქართულში. *სახელთა ბრუნების ისტორიისათვის ქართულში*. წიგნი 1. თბილისი.
- ზურაბიშვილი, თ. (1972). მავრცობი ა თანამედროვე სალიტერატურო ქართულში. *სიტყვის კულტურის საკითხები*. I. თბილისი.
- იმნაიშვილი, გ (1974)ა. *ქართლური დიალექტი*. გამოკვლევა. I. თბილისი: მეცნიერება.
- იმნაიშვილი, გ (1974)ბ. *ქართლური დიალექტი*. ტექსტები. II. თბილისი: მეცნიერება.
- კობერიძე, მ. (2024). *მავრცობი ხმოვნების პოზიცია და ფუნქცია შიდაქართლურში*. თბილისი: მერიდიანი.
- მესხიშვილი, მ. (2006). *ქართლური ლექსიკონი (მასალები)*. თბილისი.
- პალმაიტი, ლ. (1978). ემფატიკური -ა სახელთა მორფოლოგიის ძირითად საკითხებთან დაკავშირებით. *საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის მაცნე. ენისა და ლიტერატურის სერია*. 1. თბილისი.
- ჟენტი, ს. (1956). *ქართული ენის ფონეტიკა*. თბილისი.
- უთურგაიძე, თ. (1985). გავრცობის -ა-ს დისტრიბუციის შეცვლა სუბსტანტიურ მსაზღვრელთან და მისი სინტაქსური შედეგები ქართულ ენაში. *საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის მაცნე*. #2. თბილისი.

- ფოცხიშვილი, ა. (2000). *ქართული ენა. ლინგვისტური და ესტრალინგვისტური ასპექტები*. თბილისი.
- ღლონტი, ა. (1980). *ფილოლოგიის ჩანაწერები*. თბილისი: საბჭოთა საქართველო.
- შანიძე, ა. (1980). *ქართული გრამატიკის საფუძვლები*. ტომი III. თბილისი.
- ჩიქობავა, არნ. (1956). ისტორიულად განსხვავებული ორი მორფოლოგიური ტიპისათვის ქართულ ბრუნვათა შორის. *სახელთა ბრუნვების ისტორიისათვის ქართველურ ენებში*. წიგნი I. თბილისი.
- ძოწენიძე, ქ. (1973). *ზემოიმერული კილოკავი*. თბილისი.
- Deters, G. (1926). Armenisch und Sudkaukasisch. *Saukacasia*. 3.
- Дондуа, К. (1930). К вопросу о родительном Эмфатическом грузинском языке. *Известия Академии Наук СССР. Отделение Гуманитарных Наук*. №3.
- Климов, Г. (1962). *Склонение в картвельских языках в сравнительного - историческом аспекте*. Москва.
- Март, Н. (1925). Грамматика древнелитературного грузинского языка. *Материалы по яфетическому языкознанию*. XII. Ленинград.

REFERENCES

- beridze, m. (1994). *samtskhuris dziritadi taviseburebani [The main features of Samtskhe]*. Candidate's thesis. Tbilisi.
- beridze, m., & bak'uradze, l. (2020). *kartuli enis pereidnuli dialekt'i [Fereydnian dialect of the Georgian language]*. Tbilisi.
- berozashvili, t., meshkishvili, m., & nozadze, l. (1981). *kartluri dialekt'is leksik'oni [Kartli Dialect Dictionary]*. Tbilisi.
- gigineishvili, i. (1975). *gamok'vlebebi „vepkhist'qaosnis“ enisa da t'ekst'is k'rit'ik'is sak'itkhebis shesakheb [Research on issues of language and text criticism in "The Rider in the Panther's Skin"]*. Tbilisi.
- gogolashvili, g. (2011). *tanamedrove kartuli enis morpologia [Morphology of the modern Georgian language]*. Tbilisi.
- davitiani, a. (1973). *kartuli enis sint'aksi [Syntax of the Georgian language]*. Tbilisi.
- zurabishvili, t. (1956). empat'ik'uri khmovani akhal kartulshi [Emphatic vowel in modern Georgian]. *sakhelta brunebis ist'oriisatvis kartulshi [For the history of name changes in Georgian]*. Book 1. Tbilisi.
- zurabishvili, t. (1972). mavrtsobi a tanamedrove salit'erat'uro kartulshi [Emphatic A in Modern Literary Georgian]. *sit'qvis k'ult'uris sak'itkhebi [Issues of speech culture]*. I. Tbilisi.
- imnaishvili, g. (1974)a. *kartluri dialekt'i [Georgian dialect]*. I. research. Tbilisi: Metsniereba.
- imnaishvili, g. (1974)b. *kartluri dialekt'i [Georgian dialect]*. II. Tbilisi: Metsniereba.
- k'oberidze, m. (2024). *mavrtsobi khmovnebis p'ozitsia da punktisia shidakartlurshi [Poziton and Function of Extending Vowels (Emphatic vowels) in Shidakartlian]*. Tbilisi: Meridiani.
- meshkishvili, m. (2006). *kartluri leksik'oni (masalebi) [Kartli dictionary (materials)]*. Tbilisi.
- p'almaid'i, l. (1978). empat'ik'uri -a sakhelta morpologiis dziritad sak'itkhebtan dak'avshirebit [Emphatic -a Regarding the basic issues of noun morphology]. *sakartvelos ssr metsnierebata ak'ademiis matsne. enisa da lit'erat'uris seria [Bulletin of the Academy of Sciences of the Georgian SSR. Language and Literature Series]*. 1. Tbilisi.
- zhghent'i, s. (1956). *kartuli enis ponet'ik'a [Phonetics of the Georgian language]*. Tbilisi.

- uturgaidze, t. (1985). gavrtsobis -a-s dist'ributsiis shetsvla subst'ant'iur msazghvreltan da misi sint'aksuri shedegebi kartul enashi [The change in the distribution of emphatic -a with substantive determiners and its syntactic consequences in the Georgian language]. *sakartvelos metsnierebata ak'ademiis matsne [Herald of the Georgian Academy of Sciences]*. #2. Tbilisi.
- potskhishvili, a. (2000). *kartuli ena. lingvist'uri da ekst'ralingvist'uri asp'ekt'ebi [Georgian language. Linguistic and extralinguistic aspects]*. Tbilisi.
- ghlont'i, a. (1980). *philologis chanats'erebi [Notes of a Philologist]*. Tbilisi: Sabchota Sakartvelo.
- shanidze, a. (1980). *kartuli gramat'ik'is sapudzvebi [Basics of Georgian Grammar]*. Vol. III. Tbilisi.
- chikobava, arn. (1956). ist'oriulad ganskhvavebuli ori morpologiuri t'ip'isatvis kartul brunvata shoris [Between two historically distinct morphological types of Georgian inflections]. *sakhelta brunebis ist'oriisatvis kartvelur enebshi [For the history of name changes in Georgian languages]*. Book I. Tbilisi.
- dzots'enidze, k. (1973). *zemoimeruli k'ilok'avi [Upper Imeretian Kilokavi]*. Tbilisi.
- Deters, G. (1926). Armenissch and Sudkaukasisch. *Caukacasia*. 3.
- Dondua, K. (1930). K voprosu o roditel'nom Jemfatcheskom gruzinskom jazike [On the issue of the genitive emphatic Georgian language]. *Izvestija Akademii Nauk SSSR. Otdelenie Gumanitarnyh Nauk [News of the USSR Academy of Sciences. Department of Humanities]*. №3.
- Klimov, G. (1962). *Sklonenie v kartvel'skih jazikah v sravnitel'nogo - istorichskom aspekte [Declension in Kartvelian languages in a comparative-historical aspect]*. Moscow.
- Marr, H. (1925). Grammatika drevneliteraturnogo gruzinskogo jazyka [Grammar of the Old Literary Georgian Language]. *Materialy po jafeticheskomu jazykoznaniju [Materials on Japhetic Linguistics]*. XII. Leningrad.